

„ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია.“

2. სპეციალობის შინაარსი:

„ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“ არის სამედიცინო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ბავშვთა და მოზარდთა:

ა) გულ-სისხლძარღვთა სისტემის აგებულებას, განვითარებას, ფუნქციას, ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს: ეტიოლოგიას, პათოგენეზს, კლინიკურ გამოვლინებებს, დიაგნოსტიკის საკითხებს, მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის ეფექტურ მეთოდებს, ასევე, სამედიცინო რეაბილიტაციის ასპექტებს;

ბ) რევმატული ჯგუფის, შემაერთებული ქსოვილის დიფუზური დაზიანებით მიმდინარე დაავადებების ეტიოლოგიას, პათოგენეზის მექანიზმებს, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებებს, დიფერენციალურ დიაგნოსტიკას, მკურნალობის ასპექტებს, პრევენციისა და რეაბილიტაციის საკითხებს.

3. ზოგადი ცოდნა:

ა) ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია მოიცავს ჩამოთვლილი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების სიმპტომატიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პრევენციას:

- ა.ა) არტერიული ჰიპერტენზიები;
- ა.ბ) ათეროსკლეროზი, დისლიპიდემია;
- ა.გ) გულის იშემიური დაავადება, მისი მწვავე და ქრონიკული ფორმები;
- ა.დ) გულის კუნთის არაკორონაროგენული დაავადებები;
- ა.ე) გულის შეძენილი მანკები;
- ა. ვ) გულის თანდაყოლილი მანკები;
- ა.ზ) პერიკარდიუმის დაავადებები;
- ა.თ) გულის სიმსივნეები;
- ა.ი) ინფექციური ენდოკარდიტი;
- ა.კ) რევმატიული ცხელება;
- ა.ლ) არითმიები;
- ა. მ) აორტის დაავადებები;

- ა.ნ) პერიფერიული არტერიული სისტემის დაავადებები;
- ა.ო) ვენური სისტემის დაავადებები;
- ა. პ) აორტის და გულის ტრავმული დაზიანება;
- ა. ჟ) გულ-სისხლძარღვთა მწვავე და ქრონიკული უკმარისობა;
- ა. რ) პულმონური თრომბოემბოლია;
- ა.ს) პულმონალური ჰიპერტენზია (პირველადი და მეორადი);
- ა.ტ) კარდიოგენული შოკი;
- ა.უ) ფილტვის სისხლძარღვთა დაზიანებებთან და მცირე წრეში სისხლის მიმოქცევის დარღვევებთან დაკავშირებული პათოლოგიური მდგომარეობები;
- ბ) ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგიის სპეციალისტმა უნდა იცოდეს კარდიოვასკულურ დაავადებებთან ხშირად ასოცირებული შინაგანი დაავადებების (სასუნთქი სისტემის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დაავადებები, თირკმლის დაავადებები, ინფექციური დაავადებები) ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა, ასევე:
 - ბ.ა) სახსრებისა და ხერხემლის ანთებითი დაავადებები;
 - ბ.ბ) შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებები;
 - ბ.გ) სისტემური ვასკულიტები;
 - ბ.დ) რევმატული მანიფესტაციები სხვა სისტემური დაავადებების დროს;
 - ბ.ე) ოსტეოართროზი (ოსტეოართრიტი);
 - ბ.ვ) პერიარტიკულური რბილი ქსოვილების დაავადებები;
 - ბ.ზ) მიკროკრისტალური ართრიტები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	დაავადებები და პათოლოგიური მდგომარეობები	საქმიანობის მოცულობა
E75	სფინგოლიპიდების მეტაბოლიზმის დარღვევები და ლიპიდების დაგროვების სხვა დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I00-I02	მწვავე რევმატული ცხელება	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I05-I09	გულის ქრონიკული ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I10-I15	ჰიპერტენზიული ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

I20-I25	გულის იშემიური ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I26-I28	ფილტვისმიერი გული და ფილტვის სისხლძარღვოვანი ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I30	მწვავე პერიკარდიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I31	პერიკარდიუმის სხვა დაავადებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I32	პერიკარდიტი, განვითარებული იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I33	მწვავე და ქვემწვავე ენდოკარდიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I34-I37	გულის შეძენილი მანკები, გულის თანდაყოლილი მანკები და ანომალიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I40	მწვავე მიოკარდიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I42-I43	კარდიომიოპათია, კარდიომიოპათია იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I44	წინაგულ-პარკუჭოვანი (ატრიო-ვენტრიკულური) და ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I45	გამტარობის სხვა დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I46	გულის გაჩერება	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I48	წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I49	გულის რითმის სხვა დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I50	გულის უკმარისობა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I51	გულის ავადმყოფობათა გართულებები და დაუზუსტებელი მდგომარეობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I70	ათეროსკლეროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
I71	აორტის ანევრიზმა და განშრევა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I72	ანევრიზმების სხვა ფორმები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I73	პერიფერიული სისხლძარღვების სხვა ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I74	არტერიების ემბოლია და თრომბოზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
I80-I89	ვენების, ლიმფური სადინებისა და ლიმფური კვანძების ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

I95-I99	სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვადასხვა დაავადებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
P29	პერინატალურ პერიოდში განვითარებული გულ-სიხლმარღვოვანი დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
Q20-Q28	სისხლის მიმოქცევის სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
R57	შოკი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M00-M03	ინფექციური ართროპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M07	ფსორიაზული და ენტეროპათიული ართროპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M08	იუვენილური ართრიტები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M09	იუვენილური ართრიტი იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M10	ნიკრისი (ჰოდაგრა)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M11	სხვა კრისტალური ართროპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M13	სხვა ართრიტები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M14	ართროპათიები იმ სხვა ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M15	პოლიართროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M16	კოქსართროზი (მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M17	გონართროზი (მუხლის სახსრის ართროზი)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

M18	პირველი მაჯა-ნების სახსრის ართროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M19	სხვა ართროზები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M20	ხელისა და ფეხის თითების შეძენილი დეფორმაციები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M21	კიდურების სხვა, შეძენილი დეფორმაციები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M22	კვირისთავის დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M23	მუხლის სახსარში დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M24	სახსრის სხვა სპეციფიური დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
M25	სახსრის სხვა დაზიანებები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M31	სხვა ნეკროზული ვასკულოპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M32	სისტემური წითელი მგლურა	
M33	დერმატოპოლიმიოზიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M34	სისტემური სკლეროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M35	შემაერთებელი ქსოვილის სხვა სისტემური დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M36	შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M43	სხვა მადეფორმირებელი დორსოპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა

M49	სპონდილოპათიები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M63	კუნთების დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში.	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M65-M68	სინოვიური გარსებისა და მყესების დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M70	რბილი ქსოვილის ავადმყოფობები დაკავშირებული დატვირთვისთან, გადატვირთვისთან და ზეწოლასთან	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M71	სხვა ბურსოპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M72	ფიბრობლასტური დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M73	რბილი ქსოვილის დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M76	ქვედა კიდურის ენთესოპათიები, გარდა ტერფისა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M77	სხვა ენთესოპათიები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M79	რბილი ქსოვილის სხვა დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა
M80-M85	ძვლის სიმტკიცისა და სტრუქტურის დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M86	ოსტეომიელიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

M87	ოსტეონეკროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი
M91	ბარძაყისა და მენჯის იუვენილური ოსტეოქონდროზი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი/კონსულტანტი

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი კვლევების მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) ეკგ: სტანდარტული, 24 საათიანი, ეკგ სტრეს-ტესტი;

ა.ბ) ექოკარდიოგრაფიული, დოპლერ-ექოკარდიოგრაფიული, ფონოკარდიოგრაფია, კაპილაროსკოპია, ველოერგომეტრია, კარდიოინტერვალოგრაფია, რეოგრაფია, დენსიტომეტრია;

ა.გ) რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია;

ა.დ) კომპიუტერული ტომოგრაფია (CT);

ა.ე) მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსი (MRI);

ა.ვ) გულსისხლძარღვთა სისტემის რადიოიზოტოპური გამოკვლევები;

ა.ზ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის კათეტერიზაცია, ანგიოკარდიოგრაფია, მათ შორის, კორონაროგრაფია და ვენტრიკულოგრაფია;

ა.თ) სახსროვანი სინდრომის შეფასება: სიმეტრიული, მონო-, ოლიგო-, პოლიართრიტი, ტკივილის ინტენსივობა და ხასიათი, პერიმეტრია, გონიომეტრია, ვერტებრომეტრია, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სპეციფიკური სიმპტომებისა და ინდექსების (ლეკენის, რიჩის, ლის, ტომაერის, შობერის და სხვა);

ა.ი) სისხლის, სხვა ბიოლოგიური სითხეების და მასალების კლინიკური, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური, იმუნოლოგიური, სეროლოგიური, მოლეკულური გამოკვლევები C რეაქტიული ცილა;

ა.კ) სერომუკოიდი;

ა.ლ) ანტისტრეპტოლიზინი 0;

ა.მ) რევმატოიდული ფაქტორი;

ა.ნ) ანტინუკლეარული ანტისხეულები;

- ა.ო) ციკლური ანტიციტრულინური ანტისხეულები;
- ა.პ) ანტისხეულები მუტილირებული ციტრულინური ვიმეტინის მიმართ;
- ა.ჟ) ანტისხეულები ორსპირალიანი დნმ-ის მიმართ;
- ა.რ) კრიოგლობულინები;
- ა.ს) ანტისხეულები რიბონუკლეოპროტეინის მიმართ;
- ა.ტ) ანტი SCL-70;
- ა.უ) ანტისინთეტაზური ანტისხეულები;
- ა.ფ) ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულები;
- ა.ქ) ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები;
- ა.ღ) ღვიძლის ფუნქციური სინჯები;
- ა.ყ) კოაგულოგრამა;
- ა.შ) კრეატინინი;
- ა.ჩ) შარდოვანა;
- ა.ც) შარდმჟავა სისხლში, შარდში;
- ა.ძ) კომპლემენტის C3, C4 კომპონენტი;
- ა.წ) მიღებული სინოვიური სითხის კვლევის შედეგები;
- ა.ჭ) HLA B 27 ანტიგენი;
- ა.ხ) HLA DR 4 ანტიგენი;
- ა.ჯ) კრეატინფოსფოკინაზა;
- ა.ჰ) B და C ჰეპატიტის მარკერები;
- ა.ჰ¹) განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე;
- ა. ჰ²) სახსრების ულტრასონოგრაფია;
- ა.ჰ³) სცინტიგრაფია;
- ა.ჰ⁴) სინოვიური გარსის ბიოფტატი.

ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი კვლევების/ჩარევების შესრულება:

- ბ.ა) ეკგ, 24-სათიანი ეკგ მონიტორირება (ჰოლტერი);
- ბ.ბ) ეკგ სტრეს-ტესტი;
- ბ.გ) ფონოკარდიოგრაფია, კაპილაროსკოპია, ველოერგომეტრია, კარდიონტერვალოგრაფია, რეოგრაფია, დენსიტომეტრია, ფუნქციური სინჯების მართვა;

ბ.დ) კარდიო-რეანიმაციული ღონისძიებები: გულის არაპირდაპირი მასაჟი, ელექტრული კარდიოვერსია, გულის დროებითი ელექტროსტიმულაცია;

ბ.ე) სითხეების და პრეპარატების ი/ვ ტრანსფუზია;

ბ.ვ) პერიმეტრია, გონიომეტრია, ვერტებრომეტრია, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სპეციფიკური სიმპტომებისა და ინდექსების განსაზღვრა;

6. სპეციალიზაცია:

ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფია.